იჯარის და სასტუმროს მომსახურების ხელშეკრულება

ДОГОВОР АРЕНДЫ И ОБСЛУЖИВАНИЯ ГОСТИНИЦЫ

26 სექტემბერი, 2017 წელი
26 сентября 2017 года

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1.1. **პირველი მეიჯარე:** შპს „ღები“, საიდენტიფიკაციო კოდი: 201943175, წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ გოგრიჭიანის მიერ;

1.1.2. **მეორე მეიჯარე:** შპს „ემ ეს ჯი დეველოპმენტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 402033278, წარმოდგენილი მისი დირექტორის – იუსუფჯონ ნუროვის სახით;

1.1.3. **მოიჯარე:** შპს „სასტუმროს მართვის კომპანია“, ს.კ. 402050178, წარმოდგენილი მისი დირექტორის – ბექა ძაგნიძის სახით

1. Стороны Договора

1.1. Сторонами настоящего Договора являются:

1.1.1. **Первый Арендодатель: ООО «Геби»,** идентификационный код: 201943175, в лице директора Фридона Гогричиани;

1.1.2. **Второй Арендодатель: ООО «Эм Эс Джи Девелопмент»,** идентификационный код: 402033278, в лице директора Юсуфджона Нурова;

1.1.3. **Арендатор: ООО «Компания управления гостиницами»,** идентификационный код: 402050178, в лице директора Беки Дзагнидзе

2. ტერმინთა განმარტება

2.1. ამ ხელშეკრულებაში ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

2.1.1. **პირველი მეიჯარე:** შპს „ღები“, თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №115 / აღმაშენებლის გამზ. №113, ნაკვეთი 05/049, 1-ლ სართულზე მდებარე 317.43 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.005.050.01.503) და მე-2 სართულზე მდებარე 327.15 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდით 01.13.08.005.050.01.504) მესაკუთრე;

2.1.2. **მეორე მეიჯარე:** შპს „ემ ეს ჯი დეველოპმენტი“, თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №115 / აღმაშენებლის გამზ. №113, ნაკვეთი 05/049, მე-3 სართულზე მდებარე 370.88 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდით 01.13.08.005.050.01.500) და მე-4 სართულზე (მანსარდა) მდებარე 386.36 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდით 01.13.08.005.050.01.501) მესაკუთრე;

2.1.3. **მოიჯარე:** შპს „სასტუმროს მართვის კომპანია“, პირი, რომელიც იჯარით იღებს მეიჯარეების საკუთრებაში არსებულ ქონებას და რომელიც უზრუნველყოფს სასტუმროს მენეჯმენტს;

2.1.4. **მხარე:** მეიჯარე ან მოიჯარე, კონტექსტის შესაბამისად;

2.1.5. **მხარეები:** მეიჯარეები და მოიჯარე ერთდროულად;

2.1.6. **მეიჯარეები:** პირველი და მეორე მეიჯარე ერთდროულად;

2.1.7. **მესამე პირი:** ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა;

2.1.8. **საიჯარო ქონება:** წინამდებარე მუხლის 2.1.1. და 2.1.2. პუნქტებით გათვალისწინებული უძრავი

2. Толкование терминов

2.1. Приведенные в настоящем Договоре термины имеют следующие значения:

2.1.1. **Первый Арендодатель: ООО «Геби»** - собственник площади 317.43 кв. м (кадастровый код: 01.13.08.005.050.01.503), расположенной на первом этаже и площади 327.15 кв. м (кадастровый код: 01.13.08.005.050.01.504), расположенной на втором этаже здания, находящегося в г. Тбилиси, пр. Агмашенебели №115, пр. Агмашенебели №113, участок 05/049;

2.1.2. **Второй арендодатель: ООО «Эм Эс Джи Девелопмент»** - собственник площади 370.88 кв. м (кадастровый код: 01.13.08.005.050.01.500), расположенной на третьем этаже и площади 386.36 кв. м (кадастровый код: 01.13.08.005.050.01.501), расположенной на четвертом этаже (мансарда) здания, находящегося в г. Тбилиси, пр. Агмашенебели №115, пр. Агмашенебели № 113, участок 05/049;

2.1.3. **Арендатор**: **ООО «Компания управления гостиницами»** - лицо, арендующее имущество, находящееся в собственности Арендодателей и обеспечивающее менеджмент гостиницы;

2.1.4. **Сторона**: Арендодатель или Арендатор, в зависимости от контекста;

2.1.5. **Стороны**: Арендодатели и Арендатор совместно;

2.1.6. **Арендодатели**: Первый и Второй Арендодатели совместно;

2.1.7. **Третье лицо**: любое физическое и/или юридическое лицо, за исключением Сторон;

2.1.8. **Арендуемое имущество**: недвижимое имущество, указанное в пунктах 2.1.1 и 2.1.2

Нуров Юсуфджон

პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

ქონება;

2.1.9. **სასტუმრო:** საიჯარო ქონების გაერთიანების შედეგად მიღებულ ქონებაში განსათავსებელი სასტუმრო, რაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების უმთავრეს მიზანს;

2.1.10. **პერსონალი:** მოიჯარის მიერ დაქირავებული პირი/პირები, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს სასტუმროს ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის.

2.2. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მნიშვნელობა.

данной статьи;

2.1.9. **Гостиница**: гостиница, размещенная в имуществе, полученном в результате объединения Арендуемого имущества, обустройство которой является главной целью заключения настоящего Договора;

2.1.10. **Персонал**: лицо/лица, нанятые Арендатором и выполняющие различную работу, необходимую для повседневного функционирования гостиницы;

2.2. Другие термины, используемые в настоящем Договоре, имеют значения, определенные Гражданским кодексом Грузии.

3. ხელშეკრულების საბანი

3.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით და ვადით მეიჯარეები მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცემენ 2.1.8. პუნქტით გათვალისწინებულ „საიჯარო ქონებას“, რომლის მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1. და 2.1.2. პუნქტებში, იმ პირობით, რომ მოიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ქონებაში განთავსებული სასტუმროს საქმიანობის მენეჯმენტს. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს დათქმული საიჯარო ქირა.

3.2. საიჯარო ქონება მოიჯარის მიერ გამოყენებული იქნება სასტუმროს მოსაწყობად. ამასთან, მხარეები თანხდებიან, რომ ერთიანი სასტუმროს მოსაწყობად მოხდება პირველი და მეორე მეიჯარის საკუთრებაში არსებული ქონებების გაერთიანება.

3. Предмет Договора

3.1. Стороны соглашаются в том, что Арендодатели в соответствии со сроком и условиями, предусмотренными настоящим Договором, передают Арендатору во временное пользование Арендуемое имущество, указанное в пункте 2.1.8 Договора, характеристики которого приведены в пунктах 2.1.1 и 2.1.2 Договора, при условии, что Арендатор обеспечит менеджмент деятельности гостиницы, размещенной в Арендуемом имуществе. Арендатор обязан выплачивать Арендодателям оговоренную арендную плату.

3.2. Арендуемое имущество будет использоваться Арендатором для обустройства гостиницы. Стороны соглашаются с тем, что для устройства единой гостиницы ими будет произведено объединение имущества, находящегося в собственности Первого и Второго Арендодателей.

4. საზღაური სასტუმროს მენეჯმენტისთვის და საიჯარო ქირა

4.1. მოიჯარისთვის სასტუმროს საქმიანობის მენეჯმენტის ყოველთვიური საზღაური შეადგენს მიმდინარე თვეში არსებული ხარჯების გამოკლებით დარჩენილი სასტუმროს შემოსვლის 8%-ს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2. საიჯარო ქირის ოდენობა, თითოეული მეიჯარისთვის, თვეში შეადგენს სასტუმროს შემოსავლის (ხარჯების და 4.1. პუნქტით გათვალისწინებული საზღაურის გამოკლებით) 50%-ს, დღგ-ს ჩათვლით. შესაბამისად, მოიჯარე პირველ მეიჯარეს გადაუხდის 50%-ს, ხოლო მეორე მეიჯარეს გადაუხდის 50%-ს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული საზღაურის და 4.2. პუნქტით გათვალისწინებული

4. Вознаграждение за менеджмент гостиницы и арендная плата

4.1. Ежемесячное вознаграждение Арендатора за менеджмент деятельности гостиницы составляет 8% от доходов гостиницы за вычетом всех расходов за текущий месяц, включая НДС.

4.2. Размер арендной платы, причитающейся каждому Арендодателю, составляет в месяц 50% доходов гостиницы (за вычетом расходов и вознаграждения, указанного в пункте 4.1), включая НДС. Соответственно, Арендатор должен уплатить 50% - Перовому Арендодателю и 50% - Второму Арендодателю путем перечисления денежных средств на банковский счет, указанный в настоящем Договоре.

4.3. Стороны соглашаются с тем, что выплата вознаграждения, указанного в пункте 4.1 и арендной платы, указанной в пункте 4.2, начинается после полного завершения работ, предусмотренных статьей 7 настоящего Договора, и ввода в эксплуатацию (открытия) гостиницы, но не позднее

Нуров Юсуфджон

პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

საიჯარო ქირის გადახდა დაიწყება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლის (გახსნის) შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 01 დეკემბრიდან. ამასთან, 01/12/2017-დან სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლამდე, საიჯარო ქირა შეადგენს თვეში 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.4. საიჯარო ქირის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის და სასტუმროს მოწყობისთვის გაღებული ხარჯი, იმავე მუხლის 7.6. პუნქტის შესაბამისად, გამოიქვითება პირველი მეიჯარის საიჯარო ქირიდან, ქირის სახით გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით და ჩაითვლება პირველი მეიჯარის მიერ მოიჯარისთვის გადახდილად. ამასთან, პირველი მეიჯარის საიჯარო ქირიდან თანხების გამოქვითვა მოხდება სასტუმროს მოწყობისთვის გაღებული ხარჯის სრულად ამოწურვამდე.

4.6. წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის დაანგარიშების და კონტროლის მიზნით, მეიჯარეები უფლებამოსილნი არიან მოიჯარესთან ურთიერთობისთვის დანიშნონ თავიანთ წარმომადგენლები, რომელთა ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები მოიჯარეს ეცნობება წინასწარ და რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან მიიღონ ინფორმაცია სასტუმროს ყოველი საანგარიშო თვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

4.7. საიჯარო ქირის გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მეიჯარეები უფლებამოსილი არიან დააკისრონ, ხოლო მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.8. საიჯარო ქონების გამოყენებასთან დაკავშირებულ კომუნალურ გადასახადებს (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, ტელეფონი, ინტერნეტი და სხვ.) გაიღებს მოიჯარე, რომელიც ასევე ჩაითვლება 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯში. გადასახადების ოდენობა გამოითვლება შესაბამისი მრიცხველების საშუალებით. მოიჯარე იღებს ვალდებულებას თვითონ გააფორმოს ხელშეკრულებები და დადგეს აბონენტად შესაბამის პირებთან, კომუნალური გადასახადების გამოთვლისა და აღრიცხვის მიზნით.

с 01 декабря 2017 года. При этом, с 01/12/2017 до ввода в эксплуатацию (открытия) гостиницы, составляет в месяц 10 000 долларов США, включая НДС.

4.4. Оплата арендной платы будет осуществляться ежемесячно, не позднее 10 числа следующего месяца, по курсу нацбанка грузии в день оплаты.

4.5. Стороны соглашаются с тем, что расходы, понесенных на производство работ, предусмотренных статьей 7 Договора, и на обустройство гостиницы, в соответствии с пунктом 7.6 этой же статьи будут удержаны из арендной платы, причитающейся Первому Арендодателю, в размере 50% от суммы, подлежащей уплате в виде арендной платы, и будут считаться оплаченными Арендатору Первым Арендодателем. При этом, удержание денежных сумм будет из арендной платы, причитающейся Первому Арендодателю, будет производиться до полного исчерпания суммы расходов, понесенных на обустройство гостиницы.

4.6. В целях исчисления и контроля доходов, упомянутых в пункте 4.1 данной статьи, Арендодатели имеют право назначить своих представителей для взаимодействия с Арендатором, личные и контактные данные которых сообщаются Арендатору заблаговременно, и которые будут вправе получать информацию о доходах и расходах гостиницы за каждый отчетный месяц.

4.7. В случае нарушения сроков внесения арендной платы Арендодатели вправе начислить, а Арендатор обязан уплатить неустойку в размере 0.01% от подлежащей уплате суммы за каждый день просрочки.

4.8. Расходы на коммунальные услуги (вода, газ, электроэнергия, телефон, Интернет и др.), связанные с содержанием Арендуемого имущества, несет Арендатор, и они также учитываются в расходах, предусмотренные пунктом 4.1. Договора. Размер коммунальных платежей рассчитывается по показаниям соответствующих счетчиков. Арендатор обязуется самостоятельно заключить договоры и зарегистрироваться в качестве абонента у соответствующих лиц с целью расчета и учета коммунальных платежей.

5. მხარეთა გარანტიები

5. Гарантии Сторон

5.1. საიჯარო ვადის განმავლობაში მოიჯარე წარმოადგენს მისთვის გადაცემული საიჯარო ქონების მართლზომიერ მფლობელს.

5.2. თუ მეიჯარე საიჯარო ქონებას მესამე პირზე გაასხვისებს ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, შემძენი იკავებს მეიჯარის ადგილს და მასზე გადადის საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

5.3. მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს საიჯარო ფართის სამუშაო პროფილი.

5.1. В течение срока аренды Арендатор является правомерным владельцем переданного ему Арендуемого имущества.

5.2. В случае, если после заключения настоящего Договора Арендодатель произведет отчуждение Арендуемого имущества третьему лицу, приобретатель занимает место Арендодателя и к нему переходят все права и обязанности, вытекающие из арендных отношений.

5.3. Арендатор обязан сохранять рабочий профиль арендованной площади в течение всего срока действия настоящего Договора.

6. იჯარის ვადა

6. Срок аренды

6.1. იჯარის ვადა შეადგენს 240 (ორასორმოცი) თვეს და აითვლება წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული თარიღიდან.

6.2. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მთავარ მიზანს წარმოადგენს სასტუმროს მოწყობა და მისი გამართულად ფუნქციონირება, მხარეები თანხმდებიან, რომ არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი საიჯარო ურთიერთობის პირველი 10 (ათი) წლის განმავლობაში, ვადამდე მოშალოს ან/და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6.3. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების გაგრძელებისას მხარეებმა შეიძლება დაადგინონ იჯარის განსხვავებული პირობები.

6.1. Срок аренды составляет 240 (двести сорок) месяцев и отсчитывается с даты, предусмотренной пунктом 4.3 настоящего Договора.

6.2. Учитывая то обстоятельство, что главной целью настоящего Договора является обустройство гостиницы и ее налаженное функционирование, Стороны соглашаются в том, что ни одна из Сторон не имеет права в течение первых 10 (десяти) лет арендных отношений досрочно расторгнуть или прекратить настоящий Договор.

6.3. После истечения срока аренды срок действия настоящего Договора может быть продлен на основании письменного соглашения Сторон. При продлении срока Договора Стороны могут предусмотреть иные условия аренды.

7. რეკონსტრუქცია, რემონტი

7. Реконструкция, ремонт

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ სასტუმროს მოწყობის მიზნით, მოიჯარე უფლებამოსილია აწარმოოს პირველი მეიჯარის საკუთრებაში არსებული ქონების სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები და უზრუნველყოს პირველი მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაერთიანება მეორე მეიჯარის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან.

7.2. მხარეები თანხმდებიან, რომ სასტუმროს მოწყობის მიზნით, მეორე მეიჯარე თავად უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებს.

7.3. მხარეთა შეთანხმებით, საიჯარო ქონების 1-ლ სართულზე უნდა მოეწყოს ფოიე, რეცეფცია და სასტუმროს ნომრები, ხოლო მე-2 სართულზე – სასტუმროს ნომრები. ამასთან, მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას, პირველ მეიჯარეს გააცნოს და შეუთანხმოს საიჯარო ქონების

7.1. Стороны соглашаются в том, что в целях обустройства гостиницы Арендатор может проводить реконструкционные и ремонтные работы на имуществе, находящемся в собственности Первого Арендодателя, и осуществить объединение недвижимого имущества, находящегося в собственности Первого Арендодателя, с недвижимым имуществом, находящимся в собственности Второго Арендодателя.

7.2. Стороны соглашаются в том, что в целях обустройства гостиницы Второй Арендодатель самостоятельно выполнит реконструкционные и ремонтные работы на недвижимом имуществе, находящемся в его собственности.

7.3. По соглашению Сторон на перовом этаже Арендуемого имущество будет расположено фойе, рецепция и гостиничные номера, а на втором этаже - гостиничные номера. Арендатор обязуется ознакомить и согласовать с Первым Арендодателем планировку и дизайн интерьера Арендуемого

გეგმარება და ინტერიერის დიზაინი.

7.4. მხარეთა შეთანხმებით, საიჯარო ქონებაში განთავსებული ლიფტი, უნდა გადაკეთდეს და იმგვარად მოეწყოს, რომ ავიდეს და გაჩერდეს მეორე მეიჯარის საკუთრებაში არსებულ მე-3 და მე-4 სართულებზეც.

7.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარემონტო და სასტუმრის მოწყობის, მათ შორის კიბის, ლიფტის ნასყიდობის, ტრანსპორტირების და მონტაჟის, არქიტექტორის მომსახურების, ინტერიერის დიზაინის და სხვა სამუშაოების მიახლოებითი ღირებულება შეადგენს 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარს. ამასთან, გაწეული ხარჯების ზუსტი ოდენობა დადგინდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, რისთვისაც მოიჯარე პირველ მეიჯარეს გადასცემს გაწეული ხარჯის ზუსტ ანგარიშს.

7.6. მოიჯარე, საიჯარო ქონების სასტუმროს მიზნებისათვის გადაკეთების და მოწყობის (მათ შორის ავეჯით მოწყობა) მიზნით აცხადებს თანხმობას გაიღოს ყველა საჭირო ხარჯი, რომლის ღირებულებას პირველი მეიჯარე გადაუხდის მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.7. პირველი და მეორე მოიჯარეები შეთანხმდნენ, რომ I-ლ სართულზე მდებარე ფოიეს და რეცეფციის, ასევე, მე-2 სართულზე მდებარე 61.55 კვ.მ. ფართის რემონტის ხარჯებს გაიანაწილებენ თანაბრად.

имущества.

7.4. По соглашению Сторон лифт, находящийся в Арендуемом имуществе, будет переделен и устроен таким образом, чтобы обеспечить подъем и остановку лифта на третьем и четвертом этажах, находящихся в собственности Второго Арендодателя.

7.5. Стороны соглашаются в том, что приблизительная стоимость реконструкционных, ремонтных работ, обустройства гостиницы, в том числе монтажа лестницы, покупки, транспортировки и монтажа лифта, услуг архитектора, дизайна интерьера и других работ составляет 300 000 (триста тысяч) долларов США. При этом точный размер понесенных расходов будет установлен после окончания работ, на основании отчета Арендатора о фактически понесенных расходах, который он предоставит Первому Арендодателю.

7.6. Арендатор соглашается нести все расходы, необходимые для переделки Арендуемого имущества под гостиницу и его обустройства (в том числе, обстановки мебелью), из которых будут оплачены Арендатору Первым Арендодателем в соответствии с условиями, предусмотренными пунктом 4.5 настоящего Договора.

7.7. Первый и второй арандодатели договорились, что расхори ремонта фойе и рецепции на первм этаже, также 61.55 кв.м. площади на втором этаже будут делить по ровно.

8. სასტუმროს საქმიანობის მენეჯმენტი

8.1. მოიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ქონებაში მოწყობილი სასტუმროს საქმიანობის მენეჯმენტს, ხოლო მეიჯარეები გადაუხდიან საზღაურს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად

8.2. სასტუმროს საქმიანობის მენეჯმენტი მოიცავს პერსონალის შერჩევას და დაქირავებას, პერსონალის მუშაობის მონიტორინგს, სასტუმროს იერსახის შენარჩუნებას და სხვა ისეთ საქმიანობას, რაც აუცილებელია სასტუმროს გამართული ფუნქციონირებისთვის.

8.3. მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას, რომ I-ლი ერთი წლის განმავლობაში სასტუმროს დატვირთვა იქნება 60%, ხოლო ყოველ შემდეგ წელს, შეეცდება სასტუმროს დატვირთვა გაზარდოს 5%-ით.

8. Менеджмент деятельности гостиницы

8.1. Арендатор обеспечивает менеджмент деятельности гостиницы, расположенной в Арендуемом имуществе, а Арендодатели выплачивают ему вознаграждение в соответствии с пунктом 4.1 настоящего Договора.

8.2. Менеджмент деятельности гостиницы включает в себя подбор и наем персонала, мониторинг работы персонала, поддержание внешнего вида гостиницы и другие виды деятельности, необходимые для налаженного функционирования гостиницы.

8.3. Арендатор берет обязательство, что в течение первого года будет загружать гостиницу на 60%, а каждый следующий год попытается дополнительно увеличить на 5%.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1. მეიჯარეები ვალდებული არიან:

9.1.1. მოიჯარეს გადასცენ უფლებრივად და

9. Права и обязанности Сторон

9.1. Арендодатели обязаны:

პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ქონება. ამასთან, მხარეები უფლებრივ უნაკლობაში გულისხმობენ, რომ არცერთ მესამე პირს არა აქვს რაიმე მოთხოვნა ან/და უფლება საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, არ მიმდინარეობს დავა საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, საიჯარო ქონება არ არის დატვირთული იპოთეკით ან/და ნებისმიერი სხვა ვალდებულებით. ხოლო, ნივთობრივ უნაკლობაში მხარეები გულისხმობენ, რომ საიჯარო ქონება ვარგისია სასტუმროს მოწყობის მიზნებისათვის გამოსაყენებლად;

9.1.2. ხელი შეუწყონ მოიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობაში და სასტუმროს მოწყობაში, ასევე სასტუმროს გამართულად ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო თანხმობის ან/და ნებართვის მიღებაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავადაც გასცენ შესაბამისი თანხმობა;

9.1.3. პირველი მეიჯარე სასტუმროს შენობის სარდაფის სართულზე, მის საკუთრებაში არსებულ რესტორანში, მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით სასტუმროს კლიენტებს უზრუნველყოფს საუზმით;

9.2. მეიჯარეები უფლებამოსილი არიან:

9.2.1. მოსთხოვონ მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დროულად შესრულება;

9.2.2. პერიოდულად, მოიჯარის წინასწარი შეტყობინების შემდეგ, შეამოწმონ საიჯარო ქონება ისე, რომ ხელი არ შეუშალონ და არ შეაფერხონ სასტუმროს ნორმალური ფუნქციონირება.

9.3. მოიჯარე ვალდებულია:

9.3.1. მოუაროს მისთვის გადაცემულ საიჯარო ქონებას, როგორც გულისხმიერმა მეპატრონემ;

9.3.2. უზრუნველყოს უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა;

9.3.3. სასტუმროს კლიენტები საუზმეზე გაუშვას სასტუმროს შენობის სარდაფის სართულზე, პირველი მეიჯარის საკუთრებაში არსებულ რესტორანში, მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით;

9.3.4. საიჯარო ქონების განზრახ დაზიანების, ან განადგურების შემთხვევაში, აღადგინოს საიჯარო ქონება ან აანაზღაუროს ზარალი;

9.3.5. უზრუნველყოს სასტუმრო კვალიფიციური პერსონალით;

9.3.6. უზრუნველყოს დაქირავებული პერსონალის გადამზადება საჭიროების შემთხვევაში;

9.3.7. უზრუნველყოს საიჯარო ქონების დაზღვევა.

9.4. მოიჯარე უფლებამოსილია:

9.4.1. საიჯარო ქონების ფასადზე განათავსოს სასტუმროს საქმიანობის აღმნიშვნელი სარეკლამო მასალა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად და დაცვით;

მოიჯარე უფლებამოსილია საიჯარო ქონება გასცეს ქვეიჯარით მხოლოდ სასტუმროს საქმიანობის მიზნებით და მეიჯარების წინასწარი წერილობითი

9.1.1. передать Арендатору Арендуемое имущество, не имеющее вещных и правовых недостатков. Под отсутствием правовых недостатков Стороны подразумевают, что ни одно третье лицо не может иметь никаких прав и/или требований в отношении Арендуемого имущества, в связи с ним не ведется судебных споров и Арендуемое имущество не обременено ипотекой и/или любыми другими обязательствами, а под отсутствием вещных недостатков Стороны подразумевают, что Арендуемое имущество пригодно для использования в целях обустройства гостиницы.

9.1.2. содействовать Арендатору в использовании Арендуемого имущества и обустройстве гостиницы, а также в получении всех согласий и/или разрешений, необходимых для налаженного функционирования гостиницы, а при необходимости - самим выдавать соответствующие разрешения;

9.1.3. Первый Арендодатель обеспечивает клиентов гостиницы завтраком в принадлежащем ему ресторане, находящемся в подвальном этаже здания гостиницы, с учетом условий, дополнительно оговоренных Сторонами;

9.2. Арендодатели имеют право:

9.2.1. требовать от Арендатора своевременного выполнения обязательства по внесению арендной платы;

9.2.2. периодически, с предварительным уведомлением Арендатора проверять Арендуемое имущество, не препятствуя и не мешая нормальному функционированию гостиницы.

9.3. Арендатор обязан:

9.3.1. следить за переданным ему Арендуемым имуществом с добросовестностью хозяина;

9.3.2. соблюдать правила безопасности и санитарные нормы;

9.3.3. направлять клиентов гостиницы на завтрак в принадлежащий Первому Арендодателю ресторан, находящийся в подвальном этаже здания гостиницы, с учетом условий, дополнительно оговоренных Сторонами;

9.3.4. в случае умышленного повреждения или уничтожения Арендуемого имущества, восстановить имущество или возместить причиненный ущерб;

9.3.5. обеспечить гостиницу квалифицированным персоналом;

9.3.6. при необходимости, обеспечить переподготовку нанятого персонала;

9.3.7. Обеспечить страхование недвижимого имущества.

9.4. Арендатор имеет право:

9.4.1. размещать на фасаде Арендуемого имущества рекламные материалы, отражающие деятельность гостиницы, в соответствии и с соблюдением условий и требований, установленных действующим законодательством Грузии;

9.4.2. Арендатор вправе передавать Арендуемое имущество в субаренду только для целей деятельности гостиницы и с предварительного

Нуров Юсуфэмин
პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

თანხმობის შემთხვევაში.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტის შესაბამისად, მხარეებს ეკრძალებათ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა მისი მოქმედების პირველი 10 (ათი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დათქმის მიუხედავად, ერთ-ერთი მხარე შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას, დანარჩენი ორი მხარის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულისთვის ცალ-ცალკე 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ეკისრება მხარეებისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება.

10.2. საიჯარო ურთიერთობის პირველი ათი წლის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის ინიციატორ მხარეს დაეკისრება ჯარიმა, საიჯარო ვადის ბოლომდე მხარისათვის/მხარეებისათვის მისაღები შემოსავლის 20%-ის ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება მხარეებისათვის მისაღები აუდიტორული კომპანიის მიერ. ასევე, შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ეკისრება მხარეებისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება.

10.3. საიჯარო ურთიერთობის მანძილზე სასტუმროს პერსონალის ან/და კლიენტების მიერ ინტერიერის/ექსტერიერის დაზიანების შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს დაზიანებების შეკეთება.

10.4. წინამდებარე მუხლის 10.1. პუნქტით გათვალისწინებული დათქმა არ მოქმედებს, თუკი მეორე მხარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11. ფორს-მაჟორული გარემოებები

11.1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა (არაჯეროვანი შესრულება). ორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ხანძარი, მასობრივი არეულობა, რომელიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს მხარეთა ვალდებულებათა შესრულებას.

11.2. თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა ვალდებულებების

Нуров Юсуфжон

პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

письменного согласия Арендодателей.

10. Ответственность Сторон

10.1. В соответствии с пунктом 6.2 настоящего Договора Сторонам запрещается расторжение Договора в течение первых 10 (десяти) лет его действия. В том случае, если несмотря на указанную оговорку, одна из Сторон расторгнет настоящий Договор, с нее будет взыскана неустойка в пользу двух остальных Сторон в размере 1,000,000 (один миллион) долларов США для каждой в отдельности. Кроме того, Сторона - инициатор расторжения Договора будет обязана возместить другим Сторонам причиненный ущерб в полном объеме.

10.2. В случае досрочного расторжения настоящего Договора по истечении первых десяти лет арендных отношений, на Сторону - инициатора расторжения Договора налагается штраф в размере 20% от дохода, который могла получить Сторона/Стороны до конца срока аренды, размер которого определяется приемлемой для Сторон аудиторской компанией. Кроме того, Сторона - инициатор расторжения Договора будет обязана возместить другим Сторонам причиненный ущерб в полном объеме.

10.3. В случае повреждения интерьера/экстерьера здания персоналом и/или клиентами гостиницы в период арендных отношений, Арендатор обязан за свой счет в кратчайшие сроки устранить такие повреждения.

10.4. Условия указанные в Пункте 10.1 не действуют если вторая сторона существенна нарушает свои обязательства.

11. Форс-мажорные обстоятельства

11.1. Ответственность Сторон за неисполнение (ненадлежащее исполнение) обязательств исключается в случае действия форс-мажорных обстоятельств. К форс-мажорным обстоятельствам относится война, стихийные бедствие, пожар, массовые беспорядки, которые ограничивают или препятствуют исполнению обязательств, а также изданные государственными органами нормативные акты, которые ограничивают или препятствуют исполнению обязательств.

11.2. Если форс-мажорные обстоятельства носят временный характер, ссылка на них допускается только в тот период времени, когда они оказывали влияние на исполнение Сторонами своих договорных обязательств.

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

შესრულებაზე.

11.3. ოთხოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ ამ გარემოებების დადგომიდან არა უგვიანეს 5 დღისა აცნობოს მეორე მხარეს.

11.4. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე უფლებას კარგავს დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

11.5. მხარეებს უფლება აქვთ, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ურთიერთშეთანხმებით გადახედონ ამ ხელშეკრულების პირობები.

11.6. ამ მუხლის წინა პუნქტებით დადგენილი ნორმები არ გამორიცხავს მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულებას ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

11.3. В случаем наступления форс-мажорных обстоятельств каждая Сторона обязана незамедлительно, но в любом случае не позднее 5 дней со дня их наступления, уведомить об этом другую Сторону.

11.4. В случае неуведомления или несвоевременного уведомления Сторона теряет право ссылаться на форс-мажорные обстоятельства как на основание освобождения от ответственности. Приведенные в уведомлении факты должны быть в дальнейшем подтверждены.

11.5. В случае наступления форс-мажорных обстоятельств Стороны имеют право по взаимному соглашению пересмотреть условия настоящего Договора.

11.6. Нормы, установленные предыдущими пунктами данной статьи, не исключают исполнения Сторонами своих обязательств или их право расторгнуть настоящий Договор.

12. მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს გზით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. Разрешение споров между Сторонами

12.1. Все споры между Сторонами, возникающие из настоящего Договора, разрешаются путем переговоров.

12.2. В случае недостижения согласия спор разрешается в судебном порядке, в соответствии с действующим законодательством Грузии.

13. გარდამავალი დებულებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგა სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს.

13.2. მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ ამ ხელშეკრულების პირობები, რაც დამატებითი წერილობითი შეთანხმებით უნდა გაფორმდეს.

13.3. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

13. Переходные положения

13.1. Настоящий Договор составлен на грузинском языке в трех равнозначных экземплярах, один из которых представляется в Национальное агентство Публичного реестра, а остальные передаются Сторонам.

13.2. Стороны имеют право по взаимному согласию изменить условия настоящего Договора путем оформления дополнительного письменного соглашения.

13.3. При разрешении вопросов, не урегулированных настоящим Договором, Стороны руководствуются действующим законодательством Грузии.

13.4. Признание какого-либо положения настоящего Договора недействительным, независимо от основания недействительности, не влечет за собой недействительности всего Договора в целом. В этом случае остальные положения Договора действуют без недействительного положения.

Нуров Юсуф-оглы
პირველი მეიჯარე
Первый Арендодатель

მეორე მეიჯარე
Второй Арендодатель

მოიჯარე
Арендатор

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14. Реквизиты и подписи Сторон

პირველი მეიჯარე:	მეორე მეიჯარე:	მოიჯარე:
შპს „დები“, ს.კ. 201943175	შპს „ემ ეს ჯი დეველოპმენტი“, ს.კ. 402033278	შპს „სასტუმროების მართვის კომპანია“, ს.კ. 402050178
იურიდიული მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №115	იურიდიული მისამართი: თბილისი, საქარის ქ. №11	იურიდიული მისამართი: თბილისი, ა.კ. წერეთლის გამზ. №59, ბ. 19
ტელ: 599 267171 / 032 2959430	ტელ: 599 683544	ტელ: 598 343585
სს „საქართველოს ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE25BG0000000233103000	ა/ა GE49TB7006236050100003	ა/ა GE42TB7396036080100005

Первый Арендодатель:	**Второй Арендодатель:**	**Арендатор:**
ООО «Геби», и/к 201943175	ООО «Эм Эс Джи Девелопмент», и/к 402033278	ООО «Компания управления гостиницами», и/к 402050178
Юридический адрес: г. Тбилиси, пр. Агмашенебели №115	Юридический адрес: г. Тбилиси, ул. Сакарская №11	Юридический адрес: г. Тбилиси, пр. Церетели №59, кв. 19
Тел: 599 267171 / 032 2959430	Тел: 599 683544	Тел: 598 343585
АО «Банк Грузии»	АО «ТиБиСи Банк»	АО «ТиБиСи Банк»
Код банка: BAGAGE22	Код банка: TBCBGE22	Код банка: TBCBGE22
р/с GE25BG0000000233103000	р/с E49TB7006236050100003	р/с GE42TB7396036080100005

ფრიდონ გოგრიჭიანი	იუსუფჯონ ნუროვი	ბექა ძაგნიძე
დირექტორი	დირექტორი	დირექტორი
Фридон Гогричиани	Юсуфджон Нуров	Бека Дзагнидзе
Директор	Директор	Директор

Нуров Юсуфджон

პირველი მეიჯარე მეორე მეიჯარე
Первый Арендодатель Второй Арендодатель

ბექა ძაგნიძე

მოიჯარე
Арендатор

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171132650
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.09.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დარეჯან ახალბედაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706628
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82496783875217

მე, ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1. ვამოწმებ წარმოდგენილ ორენოვან (ქართულ და რუსულ ენებზე) იჯარის და სასტუმროს მომსახურების ხელშეკრულებაზე ბექა ძაგნიძეს(დაბ. 19.03.1987წ. თბილისი პ/ნ/# 01007015689, რეგ. თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 59 ბ. 19) , ფრიდონ გოგრიჭიანის(დაბ. 25.11.1953წ. ონი. პირადი#01013003289, მისამართი საქართველო, ქალაქი თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა, N 35ბ, ბინა 35) და იუსუფჯონ ნუროვის(დაბ. 10 ივნისი 1978წ. ტაჯიკეთი, ტაჯიკეთის მოქ-ის პასპორტი #400072432 გაც. 12,12,2013 წ,მისამართი ტაჯიკეთი, რუდაკის რაიონი, ჯამოატ ჩიმპეპა, სოფ. გულბუტტა) ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელისმომწერებს განემარტათ, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. დოკუმენტზე ხელისმომწერთა პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია. მე, იუსუფჯონ ნუროვს განვუმარტე, რომ "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად მათ მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს თარჯიმნის მონაწილობით. მათ განაცხადეს, რომ ლუიზა მანგოშვილი არის მათი თარჯიმანი. მე დავადგინე თარჯიმნის ლუიზა მანგოშვილის (დაბ. 03.04.1985 წ. ჭიათურა, პ/# 54001013930, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, სარკინეთის ქ. # 16, დიპლომი ISU# 000931, გაც. 24.09.2008წელს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით. მე შევამოწმე თარჯიმნის უფლებამოსილება და გავაფრთხილე არასწორი თარგმანისათვის თარჯიმნის პასუხისმგებლობის შესახებ. თარჯიმანმა განაცხადა, რომ ფლობს რუსულ ენას სრულყოფილად და პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე და არარსებობს მისთვის, როგორც თარჯიმანისათვის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. სანოტარო მოქმედების მონაწილენი და მთარგმნელი ადასტურებენ მთარგმნელობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობას.
გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507), სულ: 256,88 ლარი, მათ შორის: მ. 31.3. 216, 00 ლ. დღგ. 38,88 6ლ. + მ. 39.1. 2, 00. ლ. 3 ეგზ. 9 გვ.
Я, нотариус Дареджан Ахалбедашвили, в моём нотариальном бюро, которое расположено по адресу: г. Тбилиси, ул. Мтквари № 6, первый этаж, заверяю подлинность подписи
ДЗАГНИДЗЕ БЕКИ (19.03.1987 года рожд. в Тбилиси, личный № 01007015689, зарегистрированный по адресу: Тбилиси, просп. А. Церетели N 59 кв. 19) , ГОГРИЧИАНИ ФРИДОН (25.11.1953 года рожд. в Они, личный № 01013003289, адрес: Грузия, г. Тбилиси, ул. Нино Рамишвили N 35б, кв 35) и ЮСУФДЖОН НУРОВА (10.06.1978 года рожд. в Таджикистане, паспорт гражданина Таджикистана #400072432, выд 12,12,2013 г , адрес: Таджикистан, район Рудака, Джамоат Чимтепа, д. Гулбутта) на представленном двуязычном (русско-грузинском) ДОГОВОР АРЕНДЫ И ОБСЛУЖИВАНИЯ ГОСТИНИЦЫ. Подписавшемуся лицу разъяснено, что нотариус не заверяет подлинность фактов, приведенных в заявлении, и соответственно не несёт ответственность за его содержание. Личность, подписавшегося лица – установлена, дееспособность, и подлинность волеизъявления проверены. Я проверила её дееспособность и подтверждаю, что не имею оснований вносить подозрения в её

10

дееспособность. Я разъяснила ей, что согласно 6-ой статье закона Грузии «о нотариате» вследствие не владения ею государственным языком Грузии, нотариальное действие должно быть исполнено с участием переводчика. Она заявила, что Мангошвили Луиза является её переводчиком.
Я установила личность переводчика Мангошвили Луизы (03.04.1985года рождения, Чиатура, Л/№54001013930, регистрированная: г. Тбилиси, ул. Саркинетская № 16, диплом ISU № 000931, выд. ЮЛПП Государственным Университетом им. И. Чавчавадзе от 24.09.2008г.) по предъявленному ею документу, удостоверяющему личность. Я проверила правомочность переводчика Мангошвили Луизы и предупредила об ответственности переводчика за неверный перевод. Мангошвили Луиза заявила, что в совершенстве владеет русским языком, и отвечает за верность перевода, а также то, что для неё, как для переводчика, не существуют обстоятельств, исключающих участие переводчика. Уплачена стоимость нотариального обслуживания: (согласно постановлению правительства Грузии (№ 507 от 29 декабря 2011 года) о стоимости нотариальных действий и установленным для Нотариальной Палаты Грузии размеру стоимости, правилам оплаты и срокам обслуживания, всего 256,88 лари, статья 31.3. 31.3. 216, 00 лари, + НДС – 38,88 лари, + ст. 39.1 – 2.00 лари. 3 екз, 9 стр.

ხელშეკრულება, წარმოდგენილია 9 ფურცლად, ხელმოწერა შესრულებულია ყველა გვერდზე.
Нотариус
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

